უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიები და გარე აქტორების როლი სამხრეთ კავკასიაში: შედარებითი ანალიზი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მაგალითზე

ირაკლი მანველიძე
ისტორიიის მეცნიერებათა კანდიდატი,
საჯარო მმართველობის დოქტორი, პროფესორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: Irakli.manvelidze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0001-6422-2049

ზაზა ბურკაძე
ისტორიიის მეცნიერებათა კანდიდატი, ასოცირებული
პროფესორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
ელ-ფოსტა: zaza.burkadze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0009-0004-4774-0863

აბსტრაქტი. ნაშრომში შესწავლილია სამხრეთ კავკასია გლობალური და რეგიონული ძალების სტრატეგიული ინტერესების კონტექსტში და შეფასებულია, როგორ ქმნიან 2025 წელს აშშ-ში გაფორმებული სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის შეთანხმება და გარე ფაქტორების ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებები ახალ სტრატეგიულ რეალობას რეგიონში. კვლევის აქტუალობა განპირობებულია რეგიონში უსაფრთხოების გარემოს რადიკალური ცვლილებებით, რუსეთ–სომხეთის სტრატეგიული პარტნიორობის შესუსტებით, აზერბაიჯანის ზრდადი დამოუკიდებლობით, ენერგეტიკულ და სატრანზიტო ინტერესებთან დაკავშირებული გამოწვევებით, და აშშ-ის, ევროკავშირის, თურქეთის, ირანისა და ჩინეთის მზარდი აქტორობით. აღნიშნული გარემოება ქმნის მრავალმხრივ გამოწვევათა სივრცეს, რომელიც გავლენას ახდენს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უსაფრთხოების პოლიტიკაზე.

კვლევა მიზნად ისახავს შეისწავლოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიები სამხრეთ კავკასიაში და გაანალიზოს, როგორ აისახება გარე აქტორების ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებები 2025 წელს აშშ-ში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებული შეთანხმების შემდგომ პერიოდში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასა და რეგიონალური უსაფრთხოების სტრუქტურაზე.

თეორიული ჩარჩო წარმოადგენს გლობალურ ძალთა ურთიერთდამოკიდებულების თეორიას, რომელიც აღწერს, როგორ განსაზღვრავს გარე აქტორების ინტერესი და ურთიერთდამოკიდებულება რეგიონული სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებს.

კვლევის მეთოდოლოგია ეფუძნება მრავალმხრივ მიდგომას, რომელიც მოიცავს თვისებრივ კვლევას, დოკუმენტური წყაროების ანალიზს, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემთა შედარებით შეფასებას და რეგიონული პროცესების დინამიკის ანალიზს.

კვლევის სიახლე მდგომარეობს რეგიონში 2025 წლის შემდგომ გარე აქტორების ახალი ურთიერთდამოკიდებულების სისტემურ ანალიზსა და უსაფრთხოების სტრუქტურაზე მისი გავლენის შეფასებაში.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მრავალმხრივი გარე კონკურენცია ქმნის ახალ სტრატეგიულ რეალობას, განსაზღვრავს სამომავლო პოლიტიკის მიმართულებებს და უზრუნველყოფს უფრო სრულყოფილ, ჰოლისტურ წარმოდგენას სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების დინამიკაზე.

საკავანძო სიტყვები: თურქეთი; აზერბაიჯანი; სტრატეგიული ურთიერთობები.

* * *

შესავალი. სამხრეთ კავკასია გეოპოლიტიკურად და ისტორიულად წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე სტრატეგიულ რეგიონს, სადაც მუდმივად იკვეთება გლობალური და რეგიონული ძალების – რუსეთის, თურქეთის, ევროკავშირის, აშშ-ის, ირანისა და ჩინეთის – ინტერესები (Shengelia, 2022). საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უსაფრთხოების პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება მრავალ ფაქტორს, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებს, ენერგორესურსების სატრანზიტო მნიშვნელობას, გეოსტრატეგიულ მდებარეობას, მმართველობის ინსტიტუციურ მახასიათებლებს და საერთაშორისო სისტემაში ძალთა თანაფარდობის ცვლილებებს.

2025 წელს აშშ-ში სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ წარმოშვა მნიშვნელოვანი დინამიკა რეგიონში და გამოავლინა გარე აქტორების ურთიერთდამოკიდებულების ცვლილება. აღნიშნული ცვლილებები გარდაქმნის რეგიონალურ სტრატეგიულ ბალანსს, გავლენას ახდენს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უსაფრთხოების პოლიტიკაზე და საჭიროებს უსაფრთხოების სტრუქტურების გადახედვას. აშშ-ის ჩართულობა, ევროკავშირის და თურქეთის სტრატეგიული ინტერესი, ირანის რეგიონული გავლენა და ჩინეთის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტები ქმნიან მრავალმხრივ გარემოს, რომელიც სამომავლო პოლიტიკური და უსაფრთხოების გადაწყვეტილებებს განსაზღვრავს.

ამერიკის შეერთებული შტატების მიზანია უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის კავშირს, რადგან მას სურს შექმნას მკვეთრი გავლენის სფერო, რომელიც სრულიად გამორიცხავს რუსეთს ან ირანს (Carafano, 2025). ამავე დროს ძირითადი მიზანი აშშ-ის ჩარევისთვის უნდა იყოს მრავალპოლუსიანი და დაბალანსებული რეგიონული გარემოს შექმნა, სადაც არანაირი ერთეული გარე ძალა არ იქნება დომინანტი" (Mammadov, 2024, January 30).

ირანი სამხრეთ კავკასიას აღიქვამს, როგორც სტრატეგიულ ბუფერს, რომლის სტაბილურობაც მის უსაფრთხოებაზე პირდაპირ აისახება (Rashidi, 2023). ჩინეთის ინტერესები სამხრეთ კავკასიაში მრავალმხრივია და ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სტრატეგიულ ასპექტებს მოიცავს. რეგიონში მისი აქტიურობა ხელს უწყობს "ერთი სარტყელი, ერთი გზა" ინიციატივის განხორციელებას, თუმცა ასევე აძლიერებს გეოპოლიტიკურ კონკურენციას და გავლენას, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგიონალური დინამიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე (Chinese, 2020).

სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანა – სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო – ცდილობენ ახალი დინამიკის პირობებში სტრატეგიული პოზიციონირება მოახდინონ, დაიცვან ეროვნული ინტერესები და გაზარდონ დამოუკიდებლობა (Huseynov, 2024). აღნიშნული ცვლილებები ქმნიან ახალ სტრატეგიულ რეალობას რეგიონში, სადაც ქვეყნების უსაფრთხოების სტრატეგიები განსხვავებული გზებით რეაგირებენ გარე აქტორების ინტერესებზე და მეზობელი სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ პოზიციებზე.

კვლევის მიზანია შეისწავლოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიები სამხრეთ კავკასიაში და განსაზღვროს, თუ როგორ აისახება გარე აქტორების ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებები 2025 წლის შემდგომ პერიოდში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნულ უსაფრთხოების პოლიტიკასა და რეგიონალურ უსაფრთხოების სტრუქტურაზე, ძირითადი

აქცენტი მიმართულია ქვეყნების სტრატეგიებსა და გარე აქტორების როლზე. მოცემული მიზნის მისახღწევად კვლევა პასუხობს შემდეგ საკვლევ კითხვებს:

1. როგორ შეიცვალა გარე აქტორების (აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, ირანი, ჩინეთი) ურთიერთდამოკიდებულება სამხრეთ კავკასიაში თანამედროვე ეტაპზე?
2. რა სტრატეგიული რეალობა წარმოიქმნება ახალი გარე აქტორების დინამიკის ფონზე რეგიონში?
3. როგორ შეუძლია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს გაზარდონ ეროვნული უსაფრთხოების სისტემური მდგრადობა ახალ პირობებში?

მოცემული კვლევა წარმოადგენს მცდელობას გაამყაროს მდგრადი სტრატეგიული ხედვები სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების სფეროში და განავითაროს ინტეგრირებული გეოსტრატეგიული ანალიზი, რომელიც რეგიონში მიმდინარე პროცესებზე სრულყოფილ, ჰოლისტიკურ წარმოდგენას უზრუნველყოფს.

ლიტერატურის მიმოხილვა. სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების არქიტექტურას ახასიათებს გარე აქტორების ინტერესთა მრავალფეროვნება და კონკურენცია, რასაც არსებული კვლევები დეტალურად წარმოაჩენს. შენგელია (Shengelia, 2022) აღნიშნავს, რომ რეგიონი დიდწილად განსაზღვრულია რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირებით, რაც მკვეთრად აისახება საქართველოს სტრატეგიულ არჩევანზე. Cornell (Cornell, 2021) და Fontaine (Fontaine, 2023) ხაზს უსვამენ სომხეთის მცდელობას, შეამციროს რუსეთის მიმართ დამოკიდებულება და განავითაროს ურთიერთობები ევროკავშირთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი წინააღმდეგობებით არის სავსე. Neset და სხვ. (Neset, 2023) გამოყოფენ აზერბაიჯანის „ბალანსის პოლიტიკას“, რომელიც ეფუძნება როგორც თურქეთთან სტრატეგიულ ალიანსს, ისე დასავლეთთან და რუსეთთან კოოპერაციულ ურთიერთობებს.

რამდენიმე ავტორის შეფასებით, ჩინეთი სამხრეთ კავკასიაში, განსაკუთრებით ყარაბაღის კონფლიქტის კონტექსტში, ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს აქტიურად განავითარებს, რაც ხელს უწყობს მის გავლენას რეგიონში (Chinese, 2020). ავდალიანის (Avdaliani, 2025) შეფასებით, ყარაბაღის კონფლიქტის დასრულების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში შეიქმნა ძალაუფლების ვაკუუმი, რაც ჩინეთს რეგიონში თავისი პოლიტიკის და სავაჭრო კავშირების გაძლიერების შესაძლებლობას აძლევს.

ამავე დროს, ირანის როლი სატრანსპორტო და ენერგეტიკული პროექტების კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. როგორც Rashidi (Rashidi, 2023) მიუთითებს, „Middle Corridor“-ის განვითარება ირანისთვის არის ორმხრივი ფენომენი: ერთი მხრივ, ის ქმნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, გეოპოლიტიკურ რისკებს აჩენს, რადგან ზრდის კონკურენციას თურქეთთან და აზერბაიჯანთან. ავტორი ასევე ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ირანი მკვეთრად უარყოფით პოზიციას იკავებს ზანგეზურის დერეფნის მიმართ, ვინაიდან მას საკუთარი ეროვნული უსაფრთხოებისთვის პირდაპირ საშიშროებად აღიქვამს. ეს პოზიცია შეესაბამება სხვა მკვლევართა შეფასებებსაც, რომელთაც ირანის როლი რეგიონში ერთდროულად როგორც ბალანსის შემქმნელ და არასტაბილურობის გამომწვევ ფაქტორად შეაფასეს (Kouhi-Esfahani, 2019; Huseynov, 2024).

Akhvlediani-ის (Akhvlediani, 2024) შეფასებით, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის დაწყებამ (2022) არა მხოლოდ შეცვალა ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა, არამედ ევროკავშირის და სამხრეთ კავკასიის ურთიერთობებიც გარდაქმნა. უსაფრთხოების ფაქტორი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეკონომიკურ და საგარეო პოლიტიკაში მთავარი განმსაზღვრელი გახდა.

ამ კვლევის მთავარი კონტრიბუცია მდგომარეობს იმაში, რომ ის მიზნად ისახავს შეისწავლოს, როგორ წარმოქმნიან თანამედროვე ეტაპზე გარე აქტორების ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებები ახალ სტრატეგიულ რეალობას სამხრეთ კავკასიაში და გამოავლინოს, როგორ აისახება

გარე აქტორების მრავალმხრივი ინტერესი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უსაფრთხოების პოლიტიკასა და რეგიონალურ სტრატეგიებზე.

თეორიული ჩარჩო. კვლევაში გამოყენებულია გლობალურ ძალთა ურთიერთდამოკიდებულების თეორია, რომელიც აღწერს, როგორ განსაზღვრავს გარე აქტორების ინტერესი და ურთიერთდამოკიდებულება რეგიონული სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკასა და გადაწყვეტილებებს (Keohane, 1977). თეორია ხაზს უსვამს იმას, რომ რეგიონული სახელმწიფოების სტრატეგიული არჩევანი პირდაპირაა დაკავშირებული დიდ სახელმწიფოებთან – აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთის, თურქეთის, ირანისა და ჩინეთის – მრავალმხრივი ინტერესების პარალელურ და ურთიერთგადამკვეთ დინამიკასთან. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ანალიტიკურ ჩარჩოს, რომლის საშუალებით შეიძლება შეფასდეს, როგორ ქმნიან გარე აქტორების ურთიერთდამოკიდებულების ცვლილებები ახალ სტრატეგიულ რეალობას სამხრეთ კავკასიაში და როგორ აისახება ეს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკასა და რეგიონალურ სტრუქტურებზე.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა იყენებს თვისობრივი კვლევის მეთოდს, რათა შეაფასოს გარე აქტორების გავლენა და დამოკიდებულებები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უსაფრთხოების პოლიტიკაზე თანამედროვე ეტაპზე. დოკუმენტური ანალიზი საშუალებას იძლევა გამოკვლეული იქნას გარე აქტორების პოლიტიკები, სტრატეგიული ინიციატივები და მათი ფორმალური ურთიერთობები რეგიონში. რეგიონული უსაფრთხოების სფეროში მომუშავე მკვლევრებთან, პოლიტიკოსებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუები, გარე აქტორების სტრატეგიებისა და რეგიონული პროცესების შესახებ რეალურ, სიღრმისეულ ხედვას უზრუნველყოფს. მიღებული მონაცემები გამოიყენება კომპარატიულ ანალიზში, რათა გამოკვლეული იქნას ქვეყნების განსხვავებული პასუხები გარე აქტორების გავლენაზე. ტრიანგულაცია (მონაცემთა მრავალწყაროიანი ინტეგრაცია) ზრდის შედეგების სანდოობას და კვლევის სიზუსტეს.

მსჯელობა.

გარე აქტორების როლი და „დამოკიდებულების“ ნიუანსები უსაფრთხოების სტრატეგიებში. სამხრეთ კავკასიის რეგიონი გეოპოლიტიკურად წარმოადგენს დიდი ძალების ინტერესთა გადაკვეთის მნიშვნელოვან სივრცეს. საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები მჭიდროდ არის დაკავშირებული გარე აქტორებთან, რომელთა მიმართ დამოკიდებულების სეგმენტები ერთმანეთისგან განსხვავებულია. რეგიონული ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ქვეყნების განსხვავებული პასუხები გარე გავლენებზე ხშირად გადამწყვეტი ხდება უსაფრთხოების სტრატეგიების ეფექტურობაში. აღნიშნული დამოკიდებულება არ უნდა განიმარტოს მხოლოდ როგორც საფრთხე ან გამოწვევა; იგი ასევე შეიძლება განხილული იქნას როგორც შესაძლებლობა, რომელიც რეგიონულ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს საკუთარი უსაფრთხოების ინტერესები განახორციელონ გარე პარტნიორების რესურსებისა და მხარდაჭერის მეშვეობით. ამავე დროს, გარე ძალების ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესები ქმნის რთულ სტრატეგიულ დილემებს, რაც ზღუდავს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების საგარეო-უსაფრთხოების პოლიტიკის არჩევანის თავისუფლებას და სუვერენიტეტის დაცვისთვის დამატებით რისკებს წარმოშობს.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების სტრატეგიები მნიშვნელოვანწილად განპირობებულია გარე აქტორების ინტერესებითა და მათ შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულებით. ექსპერტთა მოსაზრებით, გარე აქტორების სტრატეგიული ინიციატივები პირდაპირ გავლენას ახდენს სამი ქვეყნის პოლიტიკურ და უსაფრთხოების გადაწყვეტილებებზე. აშშ, ევროკავშირი, რუსეთი, თურქეთი, ირანი და ჩინეთი არა მხოლოდ ეკონომიკურ და სამხედრო ზეგავლენას ახორციე-

ლებენ, არამედ პირდაპირ განსაზღვრავენ რეგიონული პოლიტიკის ინსტიტუციურ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში აშშ-ის უფრო აქტიური ჩართულობა შესაძლოა ხელი უწყობდეს სტაბილურობას, რეგიონულ თანამშრომლობასა და სტრატეგიული ბალანსის განმტკიცებას (Carafano, 2025; Mammadov, 2024, January 30). ევროკავშირის როლი კი განსაკუთრებით გამოიხატება კონფლიქტების მართვასა და სახელმწიფოების მდგრადობის გაძლიერებაში (Deen, 2023), ხოლო მისი სტრატეგიული მიზანი რეგიონში მოიცავს სამხრეთ კავკასიის ენერგეტიკულ და სატრანსპორტო დერეფნებს, რომლებიც ევროპასა და აზიას აკავშირებენ (Akhvlediani, 2024; Placzek, 2017).

ჩინეთი სამხრეთ კავკასიას განიხილავს როგორც ცენტრალური აზიის გაგრძელებას და ცდილობს რეგიონში საკუთარი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული კავშირების განვითარებას. ამავე დროს, პეკინი ცდილობს შეავსოს ის ვაკუუმი, რომელიც რუსეთმა უკრაინის ომის ფონზე დატოვა (Avdaliani, 2025; Chinese, 2020). ჩინეთის ჩართულობა მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკურ პროექტებს, არამედ უსაფრთხოების სფეროსაც, მათ შორის ტერორიზმთან ბრძოლას და სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებას (Agency, 2019). ირანის სტრატეგია რეგიონში უფრო მეტად ეფუძნება ბალანსირებასა და მოქნილ ალიანსებს, რათა თავიდან აიცილოს რომელიმე ერთ ძალაზე გადაჭარბებული დამოკიდებულება და შეინარჩუნოს საკუთარი გავლენა (Rashidi, 2023).

ამ კონტექსტში, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება როგორც მრავალვექტორული, სადაც თითოეული სახელმწიფო ცდილობს მოახდინოს აშშ-ის, რუსეთის, ჩინეთისა და სხვა რეგიონული აქტორების ინტერესების დაბალანსება (Avdaliani, 2025). „დამოკიდებულების“ კონცეფცია კვლევაში ასახავს იმას, თუ როგორ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა გარე ძალების ინიციატივებს, შეზღუდვებსა და მხარდაჭერას. ეს დამოკიდებულება შეიძლება იყოს მრავალმხრივი – სამხედრო, ეკონომიკური, დიპლომატიური ან ინსტიტუციური. მაგალითად, საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკა დიდწილად ეფუძნება NATO-სა და აშშ-ის ჩართულობას, მაშინ როდესაც სომხეთისა და აზერბაიჯანის სტრატეგიული არჩევანი ევროკავშირსა და აშშ-სთან შეთანხმებებსა და რეგიონულ პროექტებზეა დამოკიდებული.

გარე ძალებზე დამოკიდებულება არ წარმოადგენს მხოლოდ მექანიკურ ადაპტაციას. იგი მოიცავს სტრატეგიულ კრეატიულობას, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოები ცდილობენ გარე აქტორების ინტერესების ოპტიმალურ გამოყენებას საკუთარი უსაფრთხოების გასაძლიერებლად, საფრთხეების შესამცირებლად და სტრატეგიული დამოუკიდებლობის გასაზრდელად. ამასთან, სხვადასხვა გარე აქტორებს შორის არსებული კონკურენცია ქმნის მრავალშრიან და დინამიკურ სტრატეგიულ გარემოს, სადაც თანამშრომლობისა და დაპირისპირების ელემენტები თანაარსებობს.

ამრიგად, 2025 წლის სომხეთ-აზერბაიჯანის შეთანხმება ნათლად აჩვენებს, რომ გარე აქტორების ურთიერთდამოკიდებულებაში ცვლილებები პირდაპირ მოქმედებს რეგიონულ უსაფრთხოებაზე და განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების სტრატეგიულ არჩევანს. შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში „დამოკიდებულების“ კონცეფცია გულისხმობს არა მხოლოდ რეაგირებას გარე ზეწოლას, არამედ მრავალფრონტულ სტრატეგიულ დაგეგმვას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვას, გარე გავლენის ეფექტიან მენეჯმენტს და რეგიონული მდგრადობის გაძლიერებას.

გარე აქტორების გავლენა სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების სტრატეგიებზე. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების უსაფრთხოების პოლიტიკაში გარე აქტორების როლი მრავალმხრივია და მას თან ახლავს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. გარე ძალების მონაწილეობა რეგიონში განსაზღვრავს უსაფრთხოების გარანტიებს, ეკონომიკურ და დიპლომატიურ ჩარჩოებს,

თუმცა ერთდროულად ქმნის სტრატეგიულ დამოკიდებულებებს და კონფლიქტურ დინამიკას, რაც რეგიონული სახელმწიფოებისთვის სირთულეებს წარმოშობს (Shengelia, 2022).

რუსეთის ფედერაცია სამხრეთ კავკასიის ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მოთამაშედ რჩება. მისი გავლენა ნეგატიურ ასპექტში გამოიხატება დესტაბილიზაციისა და გავლენის შენარჩუნების მცდელობებში: საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კონტროლი, სომხეთში სამხედრო ბაზების შენარჩუნება და ჰიბრიდული მეთოდების გამოყენება (კიბერშეტევები, დეზინფორმაცია) ქმნის მუდმივ საფრთხეს სამივე ქვეყნის სუვერენიტეტისთვის. რუსეთი ასევე იყენებს მის მიმართ სომხეთის ენერგეტიკულ და ეკონომიკურ დამოკიდებულებას, როგორც ამ ქვეყანაზე პოლიტიკური ზეწოლის ბერკეტს.

თუმცა, რუსეთის როლი არ არის მხოლოდ დესტრუქციული. სომხეთისთვის რუსეთი ტრადიციულად წარმოადგენს სამხედრო და პოლიტიკური გარანტს აზერბაიჯანთან დაპირისპირების კონტექსტში, უზრუნველყოფს სამხედრო ბალანსსა და უსაფრთხოების სტაბილურობას (Hovannisian, 2010). აზერბაიჯანი ასევე ცდილობს საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკაში შეინარჩუნოს ბალანსი რუსეთთან, რაც რეგიონის სტაბილურობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფაქტორია (Cornell, 2021).

დასავლური აქტორები, განსაკუთრებით აშშ და ევროკავშირი, სამხრეთ კავკასიაში მნიშვნელოვან პოზიტიურ როლს ასრულებენ უსაფრთხოების, დიპლომატიური ჩართულობისა და ინსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერის მიმართულებით. ევროკავშირის ინიციატივები, როგორიცაა სომხეთში მეთვალყურეობის მისია (EUMA), ხელს უწყობენ კონფლიქტების დეესკალაციას და პოლიტიკურ სტაბილურობას (Fontaine, 2023). გარდა ამისა, ევროკავშირი ხელს უწყობს ევროპული ღირებულებების, მათ შორის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კარგი მმართველობის, გავრცელებას რეგიონში (Deen, 2023).

აშშ-სა და ევროკავშირს სამხრეთ კავკასია მიაჩნია რუსეთისა და ირანის გავლენისთვის ბრძოლის ველად. დასავლეთი ცდილობს რეგიონული ქვეყნები საკუთარი ორბიტისკენ მიიზიდოს, განსაკუთრებით სომხეთი, რომელმაც რუსეთთან ურთიერთობაში იმედგაცრუება განიცადა. დასავლეთის ქვეყნები (აშშ, ევროკავშირი) ელიან, რომ თურქეთის მიერ სამხრეთ კავკასიაში გადადგმული ნაბიჯები არა მხოლოდ თავისთავად იყონ რეგიონული ინიციატივები, არამედ ამასთან ერთად რეგიონში დასავლეთის ინტერესების რეალიზაციას შეუწყონ ხელი (TULUN, 2025).

საქართველოს მაგალითში, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და NATO-ს Essential Package უზრუნველყოფს სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებას. ევროკავშირი ასევე ახორციელებს ეკონომიკურ ინვესტიციებს ენერგეტიკისა და სავაჭრო ინფრასტრუქტურაში, განსაკუთრებით „Middle Corridor"-ში, რასაც ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება უწყობს ხელს (Deen, 2023).

2020 წლის ყარაბაღის ომის შემდეგ არსებობს შესაძლებლობა, რომ აშშ-ში შემუშავებულიყო ახალი, უფრო პრაგმატული სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში, რათა მას აქ შეენარჩუნებინა საკუთარი ინტერესები და განევითარებინა რეგიონული პოზიციები (Rubin, 2024). აშშ-ის ჩართულობა ხელს შეუწყობს რეგიონში მრავალპოლუსურ ჩართულობის მოდელს, სადაც გარე ძალები კონსტრუქციულად იკვრებიან, ხოლო ერთ ან ორ რეგიონულ ძალას დომინაციის შესაძლებლობა შეზღუდული ექნება (Mammadov, 2024, January 30).

სამხრეთ კავკასია აშშ-ისთვის არ არის საკვანძო რეგიონი ეკონომიკური ან სამხედრო თვალსაზრისით. მაგრამ მიუხედავად ამისა, ვაშინგტონისთვის სტრატეგიულად მაინც მნიშვნელოვანია გავლენის შენარჩუნება რეგიონზე, რათა რუსეთისა და ჩინეთის სრული დომინაცია არ მოხდეს (Avdaliani, 2025). ევროკავშირი, თავის მხრივ, ცდილობს შეამციროს რუსეთის გავლენა რეგიონში, განსაკუთრებით საქართველოში და სომხეთში (Deen, 2023).

სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფო – საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი – ევროკავშირთან განსხვავებული ინტენსივობის ურთიერთობებს ავითარებენ, რაც გამოწვეულია მათი შიდა პოლიტიკური და გეოპოლიტიკური რეალობებით (Placzek, 2017). ამასთან, დასავლურ ინტეგრაციაზე დამოკიდებულება მოიცავს მკაცრ პოლიტიკურ და ინსტიტუციურ მოთხოვნებს, რომლებიც ზოგჯერ შიდა პოლიტიკური დაძაბულობისა და დემოკრატიული პროცესების არასტაბილურობის რისკებს იწვევენ (Placzek, 2017).

თურქეთი სამხრეთ კავკასიას განიხილავს როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის, რეგიონული თანამშრომლობისა და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის მხარდამჭერ სივრცეს. თურქეთისთვის რეგიონს ასევე გააჩნია გეოსტრატეგიული მნიშვნელობა — ისტორიულ-კულტურული კავშირების ფონზე, ის ფუნქციონირებს როგორც ხიდი თურქეთსა და ცენტრალურ აზიას შორის. როგორც ტულუნი (TULUN, 2025) აღნიშნავს სამხრეთ კავკასია თურქეთისთვის წარმოადგენს „კარიბჭეს“ აღმოსავლეთისკენ, რაც ანკარას ცენტრალური აზიის გავლით აზია-წყნარი ოკეანის რეგიონთან – მსოფლიოს ახალ ეკონომიკურ ცენტრთან აკავშირებს.

როგორც საქართველოსთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ურთიერთობების შესახებ Türkiye Cumhuriyeti Dışişleri Bakanlığı-ს დოკუმენტშია აღნიშნული: ,,თურქეთის პოლიტიკის ძირითადი ელემენტებია: სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება, რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება და ევროატლანტიკურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის მხარდაჭერა. განსაკუთრებით აზერბაიჯანთან შუშის დეკლარაციის ხელმოწერის შემდეგ, ურთიერთობები ალიანსის დონემდე ავიდა, მაშინ როცა სომხეთთან ნორმალიზაციის პროცესი ახალი შესაძლებლობების ფანჯარას ხსნის“ (Bakanlığı, 2025). თურქეთისთვის სომხეთი ამ თანამშრომლობის ქსელში დეფიციტურ ელემენტს წარმოადგენს. რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება ხელს უწყობს თურქეთს, რომ უზრუნველყოს სავაჭრო და ენერგეტიკული დერეფნების უსაფრთხოება (TULUN, 2025). თურქეთი მხარს უჭერს აზერბაიჯან-სომხეთის სამშვიდობო შეთანხმებას და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში. აქედან ჩანს, რომ ანკარისთვის მთავარი პრიორიტეტია მშვიდობისა და სტაბილურობის მტკიცე საფუძვლის შექმნა რეგიონში.

ცხადია თურქეთი აზერბაიჯანისთვის უმნიშვნელოვანესი სამხედრო მოკავშირეა. სამხედრო კოოპერაცია, თანამედროვე შეიარაღების მიწოდება, დრონების გამოყენება და „ერთი ერი, ორი სახელმწიფო“ დოქტრინა მნიშვნელოვან როლს თამაშობს 2020 წლის ყარაბაღის ომში. ექსპერტთა შეფასებით, თურქეთის გავლენა აზერბაიჯანზე განსაკუთრებით ძლიერი დარჩა, რაც ასახავს მისი გეოსტრატეგიული ინიციატივების სიძლიერეს რეგიონში. საქართველოსთვისაც თურქეთი მნიშვნელოვან ეკონომიკურ და ენერგეტიკულ პარტნიორად ითვლება. ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს რომ თურქეთის გავლენა სომხეთისთვის საფრთხედ აღიქმება, რაც ზრდის რეგიონულ სტრატეგიულ კომპლექსურობას (Hovannisian, 2010). თუმცა, როგორც Türkiye Cumhuriyeti Dışişleri Bakanlığı-ს ოფიციალურ დოკუმენტშია აღნიშნული, მეორე ყარაბაღის ომის შემდეგ სომხეთმა უფრო კონსტრუქციული პოზიცია დაიკავა, ხოლო თურქეთმა მზადყოფნა გამოხატა სომხეთთან თანდათანობითი ნორმალიზაციის პროცესის დაწყების თვალსაზრისით, რაც განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი რეგიონში გრძელვადიანი სტაბილურობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფისთვის (Bakanlığı, 2025). თურქეთის საგარეო პოლიტიკური მიდგომა სამხრეთ კავკასიაში მიზნად ისახავს რეგიონული შესაძლებლობებისა და გამოწვევების გათვალისწინებას, ნეიტრალური და სტრატეგიული პოზიციის შენარჩუნებას, რაც ეწინააღმდეგება დასავლური ქვეყნებისთვის მხოლოდ კონკურენციული ინტერესების პრიორიტეტს (TULUN, 2025).

ირანი. ირანი რეგიონში მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც ეკონომიკურ, ისე სტრატეგიულ პარამეტრებში. თეირანის ინიციატივები ტრანსპორტისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტუ-

რის განვითარებაზე ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რეგიონული ინტეგრაციის გაღრმავებაში (Huseynov, 2024). ირანი ცდილობს რეგიონულ სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში ჩართულობით თავი დაიცვას იზოლაციისგან (Rashidi, 2023). ამასთან, ირანი მრავალპოლარული გეოპოლიტიკური გარემოს განმსაზღვრელ ფაქტორად ყალიბდება, რაც რეგიონულ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს შეინარჩუნონ სტრატეგიული მოქნილობა და სარეალაციო სივრცე.

თუმცა, ირანის პოლიტიკა თანაბრად უკავშირდება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო უსაფრთხოების ფაქტორებს. თეირანი მკვეთრად უარყოფითად უყურებს ზანგეზურის სატრანსპორტო კარიდორებს და სხვა რეგიონულ პროექტებს, რომლებიც განიხილება ამერიკის, აზერბაიჯანისა და თურქეთის ინიციატივების ფარგლებში. თეირანი მკვეთრად ეწინააღმდეგება ზანგეზურის დერეფნის პროექტს, რადგან მას გეოპოლიტიკურ საფრთხედ მიიჩნევს (Rashidi, 2023). ეს პოზიცია ეფუძნება თეირანის მიერ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ინტერესებს და ამავდროულად ზრდის არასტაბილურობას რეგიონში, განსაკუთრებით აზერბაიჯანთან ეთნიკურ-პოლიტიკური დაპირისპირების კონტექსტში (Kouhi-Esfahani, 2019).

ირანის მიდგომა რეგიონში ბუნდოვან ბალანსს ქმნის: ერთი მხრივ, მისი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული პროექტები ხელს უწყობენ თანამშრომლობას და რეგიონულ ინტეგრაციას; მეორე მხრივ, გეოპოლიტიკური ამბიციები და სტრატეგიული კონფლიქტები ამერიკის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ინიციატივებთან ზრდის პოლიტიკურ და უსაფრთხოების რისკებს. ირანის სტრატეგია შეიძლება შეფასდეს, როგორც „ბალანსირების პოლიტიკა“ (Rashidi, 2023).

ჩინეთი ძირითადად ეკონომიკურ გავლენაზეა ორიენტირებული, განსაკუთრებით Belt and Road Initiative-ის (BRI) პროექტების მეშვეობით. ამ მიმართულებით ჩინეთი აქტიურად მუშაობს სამხრეთ კავკასიაში, რათა გააძლიეროს თავისი პოზიციები "ერთი სარტყელი, ერთი გზა" (BRI) ინიციატივის ფარგლებში. ამ რეგიონში მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა და კასპიის ზღვის პორტები, საშუალებას აძლევს ჩინეთს, გააძლიეროს სავაჭრო გზები ევროპასა და აზიას შორის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთის გავლენის შემცირების ფონზე. აზერბაიჯანიდან თურქეთამდე რკინიგზის გახსნა საქართველოს შავი ზღვის პორტების გავლით ჩინური საქონლის ევროპაში გადაზიდვას გაამარტივებს” (Chinese, 2020).

ჩინეთის ინვესტიციები ტრანსპორტისა და ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულებით ქმნიან რეგიონში ეკონომიკურ სტიმულს, რაც ირიბად აძლიერებს უსაფრთხოების სტრუქტურებს (Neset, 2023).

სამხრეთ კავაკსიისადმი ჩინეთის დამოკიდებულების დადებითი ასპექტებია ინფრასტრუქტურული კავშირების გაძლიერება და ეკონომიკური განვითარება. ხოლო ამ დამოკიდებულების ნეგატიური მხარე არის ის, რომ ჩინეთის ეკონომიკურმა ექსპანსიამ შესაძლოა შექმნას სტრატეგიული დამოკიდებულება, რაც რეგიონულ სახელმწიფოებს დამატებითი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობას უქმნის. ამავე დროს სხვა აქტორების უკმაყოფილება გამოიწვიოს.

ამგვარად, გარე აქტორების მონაწილეობა სამხრეთ კავკასიაში არა მხოლოდ შესაძლებლობებისა და მხარდაჭერის წყაროა, არამედ წარმოადგენს კომპლექსურ გეოპოლიტიკურ თამაშს, სადაც თითოეული სახელმწიფო უნდა მართავდეს პოზიტიურ შესაძლებლობებსა და სტრატეგიული რისკების შემცირების ზომებს, რათა დაიცვას ეროვნული ინტერესები და უზრუნველყოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება (Ohanyan, 2023).

გარე აქტორების ინტერესთა გადაკვეთა და კონფლიქტები რეგიონულ სტრატეგიებზე

სამხრეთ კავკასიის რეგიონი გამოირჩევა გეოპოლიტიკური ინტერესების ინტენსიური გადაკვეთით, რაც განაპირობებს რეგიონში სტრატეგიულად რთულ გარემოს. ძირითადი გარე აქტორების - რუსეთის, ამერიკის, ევროკავშირის, თურქეთის, ირანის და ჩინეთის - მიზნები ხშირად ერთმანეთთან შეუსაბამოა, რაც პირდაპირ აისახება საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უსაფრთ-

ხოების პოლიტიკაზე (Shengelia, 2022). გლობალური ძალების შეჯიბრი, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული გადანაწილება, ზრდის რეგიონალური სტრატეგიული დინამიკის არასასტაბილურობას (Huseynov, 2024).

რუსეთ-დასავლეთი (ამერიკა და ევროკავშირი) დაპირისპირება: საქართველოს პრო-დასავლური ინტეგრაცია და რუსეთის გავლენას შორის დაპირისპირება ყველაზე აშკარაა. ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის მცდელობები ეწინააღმდეგება რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებს და ეს დაპირისპირება 2008 წლის ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ნაწილობრივი დაკარგვის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა. აშშ-ის მონაწილეობა რეგიონში განაპირობებს სამხედრო მხარდაჭერას, სამხედრო სწავლებებსა და სტრატეგიულ შეთანხმებებს, რაც საქართველოსთვის სუვერენიტეტის განმტკიცების დამატებით ბერკეტებს ქმნის. სომხეთისთვის რუსეთთან სტრატეგიული ალიანსი მაინც რჩება უმთავრეს არჩევანად, თუმცა ერევანი ცდილობს გარე პარტნიორებთან დივერსიფიცირება უზრუნველყოს.

ცხრილი 2. მთავარი გარე აქტორების გავლენა სამხრეთ კავკასიის რეგიონში: პოზიტიური და ნეგატიური ასპექტები

გარე აქტორი	პოზიტიური გავლენა	ნეგატიური გავლენა
რუსეთი	სამხედრო მხარდაჭერა სომხეთისთვის; უსაფრთხოების გარანტიები; სტაბილიზაცია აზერბაიჯანსა და აფხაზეთ/ცხინვალში	მერყევი პოზიცია სომხეთში; ჰიბრიდული ზეწოლა; პოლიტიკური და სტრატეგიული დამოკიდებულება რეგიონში
თურქეთი	სამხედრო მოკავშირეობა აზერბაიჯანთან; ეკონომიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობა საქართველოსთან	ზრდადი გავლენა სომხეთისთვის საფრთხის შემცველი; რეგიონული ეთნიკური და გეოპოლიტიკური დაძაბულობის გაძლიერება
აშშ	უსაფრთხოების მხარდაჭერა და სამხედრო წვრთნები საქართველოსთვის და სომხეთისთვის; სტრატეგიული პარტნიორობა.	შეზღუდული ჩართულობა სომხეთსა და აზერბაიჯანთან; პოლიტიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებული შიდა სირთულეები
ევროკავშირი	დიპლომატიური და ეკონომიკური მხარდაჭერა; სტაბილიზაციის და კონფლიქტების დეესკალაციის ინსტრუმენტები; ინსტიტუციური რეფორმების მხარდაჭერა	შეზღუდული ჩართულობა სომხეთსა და აზერბაიჯანთან; რუსეთის კრიტიკა და გეოპოლიტიკური დაპირისპირება
ირანი	რეგიონული ბალანსის შენარჩუნება; ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირები	გეოპოლიტიკური ამბიციები; დაძაბული ურთიერთობები დასავლეთთან; ეთნიკური კონფლიქტების რისკი აზერბაიჯანთან
ჩინეთი	ეკონომიკური პროექტები; ინფრასტრუქტურული ინიციატივები; რეგიონული სტაბილურობის მხარდაჭერა	შესაძლოა სტრატეგიული დამოკიდებულება რეგიონულ სახელმწიფოებზე

წყარო: ავტორის შედგენილი მონაცემები კვლევის ანალიზის საფუძველზე (2025).

რუსეთ-თურქეთის კონკურენცია და თანამშრომლობა: ყარაბაღის კონფლიქტმა მკაფიოდ წარმოაჩინა რუსეთისა და თურქეთის ინტერესთა გადაკვეთა და პარალელურად თანამშრომლობის შესაძლებლობები. თურქეთი აქტიურად უჭერდა მხარს აზერბაიჯანს, რაც რეგიონში მათი გავლენის გამყარებას ემსახურებოდა, მაშინ როცა რუსეთი ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მთავარი სამშვიდობო როლი და ენერგეტიკული პროექტების კონტროლი. აზერბაიჯანი ცდილობს ჰარმონიულად

შეინარჩუნოს ურთიერთობები ორივე მხარესთან, რათა დაიცვას პოლიტიკური ავტონომია. აზერბაიჯან-თურქეთის სტარტეგიული ალიანსის ფორმირების კონტექსტში დასავლეთი იყენებს თურქეთს როგორც ხელსაყრელ პარტნიორს, რომელიც ხელს შეუწყობს დასავლეთის სტრატეგიულ მიზნებს, მაგალითად: რუსეთისა და ირანის გავლენის შეზღუდვა სამხრეთ კავკასიაში; რეგიონული ქვეყნების დასავლურ ორბიტაზე მიბმა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი); ეკონომიკური და ენერგეტიკული დერეფნების მართვა ისე, რომ ეს ხელს აძლევდეს დასავლეთს (მაგ., ევროკავშირის ენერგოსისტემას). თუმცა, რეგიონული ანალიტიკოსები ხაზს უსვამენ, რომ ორივე მხარის სტრატეგიული ინტერესი გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლებელია ერთმანეთთან თანამშრომლობისა და კონკურენციის კომბინაციაში გამოვლინდეს, რაც სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების არქიტექტურის ფორმირებაზე აუცილებლად გავლენას მოახდენს.

ამრიგად, დასავლეთისთვის მთავარი კრიტერიუმი რეგიონში თურქეთის მოქმედების მიზანშეწონილობის კონტექსტში არის არა მხოლოდ თურქეთის ინტერესი, არამედ **დასავლეთის გლობალური ინტერესების მხარდაჭერაც**. ამ ფონზე თურქეთი მოქმედებს რეგიონში ისე, რომ დაიცვას საკუთარი ინტერესები, შეინარჩუნოს ეკონომიკური და უსაფრთხოების სტაბილურობა, და ამავდროულად დასავლურ პარტნიორებთან ტრანსატლანტიკური ვალდებულებები დაბალანსებული იყოს.

ირანი და ჩინეთი: ირანი რეგიონში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეკონომიკური კავშირებისა და ტრანსპორტის განვითარებაში, ხოლო ჩინეთი საინვესტიციო და ინფრასტრუქტურულ პროექტებში (Belt and Road Initiative) უზრუნველყოფს ეკონომიკურ სტიმულს, რაც ირიბად აძლიერებს უსაფრთხოების სტრუქტურებს (Huseynov, 2024; Neset, 2023). ორივე ქვეყანა ხელს უწყობს რეგიონულ მრავალფეროვნებას და ბალანსირებას, თუმცა მათი გეოპოლიტიკური ინტერესები სტრატეგიული დამოკიდებულების რისკებს ქმნის.

ცხრილი 1. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ძირითადი მახასიათებლები და გარე დამოკიდებულება

ქვეყანა	ძირითადი მახასიათებლები	გარე დამოკიდებულება
საქართველო	პრო-დასავლური კურსი, ინტეგრაცია ნატოსა და ევროკავშირთან; ეკონომიკური ურთიერთობები რუსეთთან, პოლიტიკაში მკვეთრი ანტირუსული პოზიცია	მაღალი დამოკიდებულება აშშ-სა და ევროკავშირზე; უსაფრთხოების სფეროში ძლიერი დასავლური ჩართულობა
სომხეთი	ისტორიულად პრორუსული; ბოლო წლებში კრიტიკული დამოკიდებულება რუსეთის უსაფრთხოების გარანტიებზე; საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაში დივერსიფიკაციის მცდელობა; ოფიციალურად მზარდი ანტირუსული პოზიცია	უსაფრთხოება კვლავ ნაწილობრივ დამოკიდებულია რუსეთზე, თუმცა იზრდება ევროკავშირის და აშშ-ს როლი; ცდილობს მრავალაქტორულ თანამშრომლობას
აზერბაიჯანი	ბალანსირებული საგარეო კურსი; ენერგორესურსებზე დაფუძნებული ეკონომიკა; აქტიური რეგიონული პოლიტიკა, მზარდი ანტირუსული პოზიცია	სტრატეგიული ალიანსი თურქეთთან; გავლენა მნიშვნელოვანწილად თურქეთის რეგიონული ინიციატივებიდან ფორმირდება

წყარო: ავტორის შედგენილი ცხრილი კვლევის ანალიზის საფუძველზე (2025)

გარე აქტორების ინტერესთა გადაკვეთა სამხრეთ კავკასიისთვის დუალისტურ გარემოს ქმნის, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ შესაძლებლობებს (პარტნიორობა, სამხედრო დახმარება, ეკონომიკური რესურსები) და რისკებს (ტერიტორიული ოკუპაცია, პოლიტიკური ზეწოლა, ჰიბრიდული ომი). ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიები რეგიონის ქვეყნებში მუდმივად უნდა ადაპტირდე-

ბოდეს გარე ძალთა პარამეტრებთან, რაც იძლევა შესაძლებლობას მრავალმხრივი დიპლომატიისა და თანამშრომლობის განვითარებისთვის, თუმცა ამავდროულად ზრდის სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების სირთულეებს (Ohanyan, 2023).

2025 წლის შემდგომი პერსპექტივები და შესაძლო სცენარები სამხრეთ კავკასიაში

გლობალურ ძალთა ურთიერთდამოკიდებულების თეორიის მიხედვით (Keohane, 1977) რეგიონული სახელმწიფოების სტრატეგიული არჩევანი და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა პირდაპირ არის დაკავშირებული გარე აქტორების – აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთის, თურქეთის, ირანის და ჩინეთის – მრავალმხრივი ინტერესებისა და ურთიერთდამოკიდებულების დინამიკასთან. 2025 წლის შემდგომ პერიოდში სამხრეთ კავკასია განიცდის ისეთ გარემოს, სადაც გარე აქტორების ინტერესთა გადაკვეთა უფრო მწვავედ გამოჩნდება, განსაკუთრებით ენერგეტიკასა და სატრანსპორტო დერეფნებში.

პირველი შესაძლო სცენარი გულისხმობს რეგიონში მრავალბალანსიან და სტაბილურ გარემოს. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოები მოახდენენ გარე ძალებთან ურთიერთდამოკიდებულების სტრატეგიულ მართვას: საქართველო შეინარჩუნებს NATO-სა და ევროკავშირის მხარდაჭერას, სომხეთი განავითარებს დივერსიფიცირებულ პარტნიორობას დასავლეთსა და რუსეთთან, ხოლო აზერბაიჯანი გააგრძელებს პრაგმატულ ბალანსირებას თურქეთთან და სხვა აქტორებთან. რეგიონში ურთიერთდამოკიდებულების ასეთი მართვა შეამცირებს კონფლიქტების რისკს, ხელს შეუწყობს ეკონომიკურ და ენერგეტიკულ კავშირს და გაძლიერდება სახელმწიფოების მოქნილობა.

მეორე სცენარი მოიცავს მარტივყოფილ ან მძლავრ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას, სადაც გარე აქტორების ინტერესთა შეჯახება გამოიწვევს რეგიონის სტრატეგიული სირთულეების ზრდას. მაგალითად, რუსეთის ენერგეტიკული და სამხედრო ზეგავლენა შესაძლოა დაუპირისპირდეს დასავლეთის მხარდაჭერას, ირანის ან თურქეთის პოლიტიკური ინიციატივები – ერთმანეთს შეეჯახოს, ხოლო ჩინეთის ეკონომიკური პროექტებმა სტრატეგიული დამოკიდებულება წარმოქმნას. ასეთი გარემო რეგიონული სახელმწიფოებისაგან მუდმივ ადაპტაციას, მრავალშრიან დიპლომატიურ მანევრირებას და შიდა ინსტიტუციური სიმტკიცის გაძლიერებას მოითხოვს.

სამხრეთ კავკასიის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში „დამოკიდებულების“ კონცეფცია 2025 წლის შემდგომ პერიოდში მოიცავს არა მხოლოდ რეაგირებას გარე ზეწოლაზე, არამედ მრავალფრონტულ სტრატეგიულ დაგეგმვას, რომელიც მაქსიმალურად იყენებს გარე აქტორების შესაძლებლობებს და ამავდროულად უმკლავდება მათ რისკებს. ამგვარად, გლობალური ურთიერთდამოკიდებულების თეორია უზრუნველყოფს ანალიტიკურ ჩარჩოს, რომლის საშუალებით შესაძლებელია მომავლის სცენარების შეფასება და რეგიონული უსაფრთხოების მდგრადი განვითარების გზების განსაზღვრა.

დასკვნა

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების უსაფრთხოების სტრატეგიები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ისტორიულ-პოლიტიკური გამოცდილებით, არამედ გარე აქტორების ინტერესთა ასიმეტრიული და ხშირად კონფლიქტური ჩართულობით. რეგიონი წარმოადგენს გეოპოლიტიკურ წერტილს, სადაც რუსეთის, დასავლეთის (აშშ, ევროკავშირი, NATO), თურქეთის, ირანისა და უფრო მეტადაც კი ჩინეთის ინტერესები იკვეთება, რაც მუდმივად ცვალებად და დინამიკურ უსაფრთხოების არქიტექტურას ქმნის.

საქართველო მტკიცედ ავითარებს პრო-დასავლურ ვექტორს, რომლის ქვაკუთხედს წარმოადგენს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და რუსულ ოკუპაციასთან გამკლავების საჭიროება. NATO-სთან თანამშრომლობა და ევროკავშირთან ასოცირება საქართველოსთვის არის არა მხოლოდ უსაფრთხოების ინსტრუმენტი, არამედ პოლიტიკური ლეგიტიმაციის მექანიზმი. ამავდროუ-

ლად, უკიდურესი პრო-დასავლური ორიენტაცია ზღუდავს ქვეყნის სტრატეგიულ მოქნილობას და ზრდის გარე დამოკიდებულების რისკებს.

სომხეთი ისტორიულად მიბმული იყო რუსეთზე როგორც სამხედრო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. თუმცა, ყარაბაღის მეორე ომისა და რუსეთის უსაფრთხოების გარანტიების შემცირების ფონზე, ერევანი ცდილობს სტრატეგიული დივერსიფიკაციისკენ სვლას. ევროკავშირისა და აშშ-ის მიმართ მზარდი ინტერესები, დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა და საზოგადოებაში რუსეთის როლის კრიტიკული შეფასება სომხეთის უსაფრთხოების სტრატეგიას გარდამავალ მდგომარეობაში აქცევს, სადაც ძველი და ახალი ვექტორები პარალელურად თანაარსებობენ.

აზერბაიჯანი ატარებს „ბალანსის პოლიტიკას“, რომელიც ეფუძნება ენერგორესურსებზე დამყარებულ ეკონომიკურ ძალაუფლებასა და გეოპოლიტიკური მანევრირების უნარს. ბაქო აქტიურად თანამშრომლობს თურქეთთან, ამავდროულად ინარჩუნებს პრაგმატულ კავშირებს როგორც რუსეთთან, ისე დასავლეთთან და ჩინეთთანაც კი, განსაკუთრებით ინფრასტრუქტურული და სატრანსპორტო პროექტების მიმართულებით. ეს მრავალმხრივი ვექტორები აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს, მაქსიმალურად გააძლიეროს სუვერენული პოზიციები და რეგიონულ ძალთა შორის მოქნილად მოახდინოს ბალანსირება.

ამრიგად, გარე აქტორების როლის მრავალფეროვნება და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შიდა პოლიტიკურ-სტრატეგიული განსხვავებები განაპირობებს რეგიონის უსაფრთხოების დინამიკურ და არაერთგვაროვან ხასიათს. თითოეული სახელმწიფო ცდილობს იპოვოს ოპტიმალური ბალანსი საერთაშორისო ძალებს შორის, თუმცა ეს ბალანსი ხშირად არის დროებითი, კომპრომისულ ბაზაზე აგებული და დამოკიდებულია გარე ძალთა გლობალური დღის წესრიგის ცვლილებებზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამხრეთ კავკასია არის რეგიონი, სადაც უსაფრთხოების არქიტექტურა არ არის სტატიკური. იგი მუდმივად ყალიბდება გარე და შიდა ფაქტორების რთული ურთიერთქმედების ფონზე. ეს გარემოება რეგიონის ქვეყნებს ავალდებულებს, ერთდროულად განამტკიცონ შიდა ინსტიტუციური სიმტკიცე და განავითარონ ადაპტური, მოქნილი საგარეო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული ინტერესების დაცვას გლობალური ძალთა ცვლილებადი დინამიკის პირობებში.

ბიბლიოგრაფია

Agency, C. N. (2019, October 27). *One Belt, One Road" initiative and counter-terrorism: China expands cooperation with South Caucasus countries.* . Retrieved from Central News Agency: https://www.cna.com.tw/news/aopl/201910270151.aspx

Akhvlediani, T. (2024, October 2). *The EU and the South Caucasus: Geoeconomics at Play.* Retrieved from Carnegie Europe.: https://carnegieendowment.org/research/2024/10/the-eu-and-the-south-caucasus-geoeconomics-at-play?lang=en

Avdaliani, E. (2025). *US engagement in the South Caucasus under Trump.* . Retrieved from Caucasus Watch. : https://caucasuswatch.de/en/insights/us-engagement-in-the-south-caucasus-under-trump.html

Bakanlığı, T. C. (2025). *Güney Kafkasya Ülkeleri İle İlişkiler*. Retrieved from Türkiye Cumhuriyeti Dışişleri Bakanlığı : https://www.mfa.gov.tr/turkiye_nin-guney-kafkasya-ulkeleriyle-iliskileri.tr.mfa

Carafano, J. J. (2025, June). *U.S. eyes greater influence in the South Caucasus.* . Retrieved from GIS Reports Online. : https://www.gisreportsonline.com/r/south-caucasus-united-states/

Chinese, V. (2020, October 17). *China and Nagorno-Karabakh conflict.* . Retrieved from VOA Chinese: https://www.voachinese.com/a/china-and-nagorno-karabakh-conflict-20201017/5625386.html

Cornell, S. E. (2021). "The South Caucasus: Between Integration and Fragmentati on." , edited by Daniel S. Hamilton and Gerhard Mangott, . Washington, D. *In The Wider Black Sea Region in the 21st Century: Strategic, Economic and Energy Perspectives*, 113–130.

Deen, B. Z. (2023). *The EU's role in the South Caucasus.* Clingendael Institute. . https://www.clingendael.org/pub/2023/the-eu-in-the-south-caucasus/2-the-eus-role-in-the-south-caucasus/.

Fontaine, R. (2023). *Armenia and EU Foreign Policies: Navigating the Conflict, Russia's Role, and Regional Dynamics. Sustainable Cooperation for Peace & Security.* Retrieved from https://sustainablepeace.eu/armenia-and-eu-foreign-policies-navigating-the-conflict-russias-

Hovannisian, R. G. (2010). *The Republic of Armenia, Vol. IV: Between the Hammer and the Sickle, From the Ankara Agreement to Sèvres.* University of California Press.

Huseynov, V. (2024). Geopolitical dilemma of the South Caucasus: Keeping Russia down, the West in, Iran out. In Regional Stability in South Caucasus Study Group, . *New security arrangements for the South Caucasus?: Proceedings of the 26th Seminar* , (pp. 89–10).

Keohane, R. O. (1977). *Power and interdependence: World politics in transition. .* Little, Brown.

Kouhi-Esfahani, M. (2019). *Iran's Foreign Policy in the South Caucasus: Relations with Azerbaijan and Armenia. .* Routledge. DOI: 10.4324/9781315143262. .

Mammadov, A. (2024, January 30). *Time to adjust the US approach to the South Caucasus. Atlantic Council. https://www.atlanticcouncil.org/blogs/turkeysource/time-to-adjust-the-us-approach-to-the-south-caucasus/.* Atlantic Council. https://www.atlanticcouncil.org/blogs/turkeysource/time-to-adjust-the-us-approach-to-the-south-caucasus/.

Neset, S. A. (2023). *Changing geopolitics of the South Caucasus after the Second Karabakh War: Prospect for regional cooperation and/or rivalry (CMI Report No. 4). .* Chr. Michelsen Institute.

Ohanyan, A. (2023). *Peace and Reform: Europe's Role in the Post-Karabakh War Caucasus.* Moscow: Carnegie Moscow Center.

Placzek, J. &. (2017). *Three Eastern Partnership neighbours in the South Caucasus.* Retrieved from European Parliament, Fact Sheets on the European Union. : https://www.europarl.europa.eu/thinktank/en/document/04A_FT(2017)N54228

Rashidi, A. (2023). "Middle Corridor" and interests of Iran in the South Caucasus. . *Central Asia and the Caucasus, 29(121),* , 27–54. https://ca.ipisjournals.ir/article_706613.html?lang=en.

Rubin, M. T. (2024, January 30). *US strategic interests in the South Caucasus and its post-2020 war policy towards Armenia.* Retrieved from Aram Manoukian Institute for Strategic Planning. : https://www.aei.org/research-products/journal-publicat

Shengelia, Z. (2022). *The Second Karabakh War: A Year After.* Tbilisi: Economic Policy Research Center (EPRC).

TULUN, M. O. (2025). *TÜRKİYE'NİN GÜNEY KAFKASYA POLİTİKASI VE BATI'NIN ÇELİŞEN YAKLAŞIMI*. Retrieved from AVİM : https://avim.org.tr/tr/Yorum/TURKIYE-NIN-GUNEY-KAFKASYA-POLITIKASI-VE-BATI-NIN-CELISEN-YAKLASIMI